



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი კოსტავას ქ.№1

10 ივნისი 2013 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №159

„უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 მაისის №137 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 17 მაისის „უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნის შესახებ“ №137 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება და ბრძანების 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. ოზურგეთში დავით აღმაშენებლის ქ.№175-ში მდებარე მრავალბინიან სახლში არსებული საცხოვრებელი ბინის (საერთო ფართი 52.11კვმ. მე-2 სართული) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაციისათვის მიემართოს სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ს, რათა განახორციელოს თანდართული შენობა-ნაგებობის ტექნიკურ პასპორტში მითითებული უძრავ ქონებაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების რეგისტრაცია, შემდგომში მუნიციპალიტეტის მიერ პრივატიზების მიზნით“.

მუხლი 2. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო“-ში შესაბამისი ქმედების განხორციელებაზე უფლებამოსილება მიენიჭოს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურისტს გიორგი ხუროშვილს (პირ.№33001054782).

მუხლი 3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის:ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

მუხლი 4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალექო მამეშვილი